

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N19 - ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურება

1. კლიენტის მიერ განაცხადით მოთხოვნილი პირობების შესაბამისად შესაძლებელია განხორციელდეს ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურება, შესაბამისი ბარათის მოთხოვნიდან 4 (ოთხი) საბანკო დღის ვადაში.
2. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ იმ კლიენტებს, რომლებიც სარგებლობენ PIN-კოდის სმს-ით მიღების მეთოდით.
3. ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურებისას ბარათის მიღება, აგრეთვე მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ კლიენტის, ან მის მიერ განსაზღვრული განაცხადით უფლებამოსილი პირის მიერ.
4. კურიერისა და კლიენტის ან/და უფლებამოსილი პირის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დასტურდება ბანკის მიერ, ბარათის გადაცემა და კლიენტის მიერ ბარათის მიღება-ჩაბარება.
5. კლიენტის ან უფლებამოსილი პირების მიერ ბარათის მიუღებლობის/ჩაუბარებლობის შემთხვევაში კლიენტი ბარათს მიიღებს განაცხადით განსაზღვრულ ბანკის სერვისცენტრში შესაბამისი ბარათის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.
6. ბარათის აქტივაცია განხორციელდება ბანკის სატელეფონო ცენტრის საშუალებით, ბანკში დადგენილი პროცედურებისა და სტანდარტების შესაბამისად.
7. ბანკი არ აგებს პასუხს ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა დადგეს უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელებული ქმედებებით.
8. ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ან/და დახუროს ბარათი იმ შემთხვევაში თუ ბარათის ადგილზე მიტანის მომსახურების განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში კლიენტი არ გამოიყენებს ბარათს.